

3.1. ბუღალტრული ინფორმაციის არსი და დანიშნულება


3.1.1. ორგანიზაციის ინფორმაციული მოთხოვნები

ნებისმიერი ორგანიზაციის მართვის აუცილებელი იარაღია - ინფორმაცია. ორგანიზაციები, თავიანთი მიზნების მისაღწევად იყენებენ შრომით, მატერიალურ და არამატერიალურ რესურსებს და იღებენ შესაბამის დაფინანსებას. ინფორმაცია ამ რესურსების ოდენობის, დაფინანსების წყაროებისა და მიღწეული შედეგების შესახებ აუცილებელია, როგორც ორგანიზაციის მენეჯმენტისთვის - რათა ეფექტურად იმუშაონ, ასევე “გარეშე” პირებისათვის – ამ ორგანიზაციის საქმიანობის შესაფასებლად.

ბუღალტრული აღრიცხვა – ეს არის სისტემა, რომელიც ახდენს ამ ინფორმაციით უზრუნველყოფას. ორგანიზაცია შეიძლება იყოს როგორც კომერციული, ასევე არაკომერციული. თუმცა მოთხოვნები ბუღალტრული აღრიცხვის ინფორმაციისადმი ორივე ტიპის ორგანიზაციაში, ძირითადად ერთნაირია, რომელიც შეიძლება გამოისახოს შემდეგი სქემით

სქემა 1

ორგანიზაციის ინფორმაციული მოთხოვნები



ინფორმაცია შეიძლება იყოს რაოდენობრივი და ხარისხობრივი. რაოდენობრივი ინფორმაცია გამოცემულია ციფრებით, არარაოდენობრივი ინფორმაციის მაგალითად კი შეიძლება მოვიყვანოთ ვიზუალური ეფექტები, საუბრები, სატელევიზიო პროგრამები, საგაზეთო შეტყობინებები და ა.შ.

ბუღალტრული აღრიცხვა პირველ რიგში გვაწოდებს რაოდენობრივ ინფორმაციას და გამოირჩევა იმით, რომ ეყრდნობა მონაცემებს, რომლებიც გამოისახება ფულად ერთეულში. თუმცა ძნელია აქ მკვეთრი ხაზის გავლება, რადგან არაფულადი ინფორმაციაც ხშირად ჩაირთვება ხოლმე საბუღალტრო ანგარიშგებაში, რათა ეს უკანასკნელი მკითხველისათვის უფრო აღქმადი იყოს.

საწარმოს საქმიანობისათვის საჭირო რესურსების ოდენობის, მათი გამოყენებისა და დაფინანსების, შესახებ აუცილებელი ინფორმაცია შეიძლება დაგავსგუფოთ შემდეგნაირად:

- ✓ ოპერატიული ინფორმაცია;
- ✓ ფინანსურ-სააღრიცხვო ინფორმაცია;
- ✓ მართვისთვის აუცილებელი სააღრიცხვო ინფორმაცია.

3 . 1 . 2 . ოპერატიული ინფორმაცია

საწარმოს ყოველდღიური საქმიანობის მართვისთვის აუცილებელია ოპერატიული ინფორმაცია. მაგალითად თანამშრომლებისათვის გადახდილ ხელფასებზე წარმოებული უნდა იქნას უწყისები - თითოეულის მიერ გამოუმავებული თანხის შესახებ; სავაჭრო განყოფილების თანამშრომლებისათვის აუცილებელია იცოდნენ თუ რომელი საქონელი უფრო რეალიზებადია, აგრეთვე მათი ღირებულება, გასაყიდი ფასი და რეალიზაციებზე უნდა გაკეთდეს შესაბამისი ჩანაწერი; სასაწყობო მეურნეობაზე პასუხისმგებელი პირი უნდა ფლობდეს ინფორმაციას განსაზღვრული სახის საქონლის მარაგის შესახებ, რათა შესაძლებელი იყოს დროულად მოხდეს დამატებითი რაოდენობის შეკვეთა. აუცილებელია ინფორმაცია დამკვეთების დავალიანების შესახებ, რათა ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში გამოყენებული იქნას შესაბამისი ზომები; კომპანია აგრეთვე უნდა ფლობდეს ინფორმაციას, თუ რა დავალიანებები გააჩნია სხვა კომპანიების მიმართ, მათი გადახდის ვადების შესახებ და საკუთარ ანგარიშსზე არსებული თანხის შესახებ. ოპერატიული ინფორმაცია უზრუნველყოფს ფინანსურსა და მმართველობით აღრიცხვას საწყისი მონაცემებით.

3 . 1 . 3 . ფინანსური ინფორმაცია

ფინანსური აღრიცხვის მონაცემები განკუთვნილია მენეჯერებისა და გარე მომხმარებლებისათვის, აგრეთვე აქციონერებისათვის (და არაკომერციული ორგანიზაციების ნდობით აღჭურვილი პირებისათვის), ბანკირებისა და სხვა კრედიტორებისათვის, სახელმწიფო დაწესებულებებისათვის და ა.შ. რაზედაც ქვემოთ დაწვრილებით ვისაუბრებთ.

3 . 1 . 4 . მმართველობითი სააღრიცხვო ინფორმაცია

იმის გათვალისწინებით რომ პრეზიდენტებსა და მენეჯერებს არა აქვთ დრო დეტალურად შეისწავლონ ოპერატიული ინფორმაცია, ისინი იყენებენ მოკლე მიმოხილვებს და სხვა ინფორმაციებს მმართველობითი ამოცანების შესასრულებლად. სააღრიცხვო ინფორმაციას, რომელიც სპეციალურადაა მომზადებული მენეჯერის დასახმარებლად ეწოდება მმართველობითი-სააღრიცხვო ინფორმაცია. რომელსაც ისინი იყენებენ დაგეგმვის, შესრულებისა და კონტროლის პროცესში.

ნებისმიერი ორგანიზაციის ნებისმიერი მენეჯერის მიერ განხორციელებული დაგეგმვა ეს არის იმ მოქმედებების შერჩევის პროცესი, რომელიც უნდა შესრულდეს მომავალში. გეგმა შეიძლება მომზადდეს ნებისმიერი განყოფილებისათვის ან ორგანიზაციისათვის მთლიანად.

დაგეგმვის მნიშვნელოვან ფორმას წარმოადგენს ბიუჯეტის (ხარჯთაღიწის) შედგენა ანუ ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. ხარჯთაღიწის შედგენის ძირითადი მიზანი არის ორგანიზაციის სხვადასხვა ქვეგანყოფილებებისათვის შედგენილი სხვადასხვა გეგმების კოორდინაცია მათი ურთიერთშეთანხმებულობის უზრუნველსაყოფად.


გეგმების შედგენა არ გულისხმობს მათი შესრულების გარანტიებს. წლიური ბიუჯეტის შედგენის შემდეგ მენეჯერებმა უნდა მიიღონ სათანადო ზომები რათა უზრუნველყონ დაგეგმილი შედეგების მიღწევა ადამიანური თუ სხვა რესურსების ეფექტიანად გამოყენებით. ყველა მმართველი ვალდებულია დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად მოამზადოს უფრო დეტალური გეგმა: წინასწარ უნდა იქნას დაგეგმილი კონკრეტული მოქმედებები ყოველი კვირისათვის და ყოველი დღისათვისაც კი.

ამ კონკრეტული და დეტალური გეგმების განხორციელება მმართველის მხრიდან მოითხოვს სისტემატურ ზედამხედველობასა და კონტროლს. მენეჯერმა რეაგირება უნდა მოახდინოს წინასწარ გაუთვალისწინებელ მოვლენებზე და აუცილებლობის შემთხვევაში შეცვალოს წინასწარი გეგმები ახალი პირობების შესაბამისად.

მმართველებმა უნდა გააკონტროლონ საწარმოს თანამშრომლებზე დაკისრებული სამუშაოები. ამ პროცესს ეწოდება კონტროლი.

როგორც კომუნიკაციის საშუალება, ბუღალტრული ანგარიშგება ხელს უწყობს მმართველობითი გეგმებისა და პოლიტიკის შესახებ თანამშრომელთა ინფორმირებულობას. ბუღალტრული ანგარიშგება მოტივაციას უქმნის ორგანიზაციის წევრებს იმოქმედონ დასახული ერთობლივი მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად. სააღრიცხვო ინფორმაცია, როგორც ყურადღების მიქცევის საშუალება, სიგნალს იძლევა იმ პრობლემებზე, რომელთა გაანალიზება და შესაბამისი ღონისძიებების გატარება აუცილებელია. ამ პროცესს ეწოდება უკუკავშირი. ბუღალტრული აღრიცხვა, როგორც შეფასების საშუალება, გვეხმარება იმაში, რომ მოვახდინოთ მიღწეული შედეგების დემონსტრირება და შესაბამისად მოხდეს საწარმოს თანამშრომელთა შეფასება, წახალისება, დაწინაურება თუ განთავისუფლება. კავშირი დაგეგმვის, შესრულებისა და კონტროლის მმართველობით ფუნქციებს შორის ნაჩვენებია სქემაზე №2.

მართვალობით უზრუნველყოფის ურთიერთკავშირი



ბუღალტრული აღრიცხვა დაკავშირებულია ყველა ზემოთჩამოთვლილ საქმიანობებთან და ყველა მათგანში ყურადღება ექცევა სააღრიცხვო ინფორმაციის გამოყენებას გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ამერიკული სააღრიცხვო ასოციაციის განმარტებით ბუღალტრული აღრიცხვა არის – “ეკონომიკური ინფორმაციის განსაზღვრის, გაზომვისა და გადაცემის პროცესი რათა ამ ინფორმაციის მომხმარებლებმა მიიღონ საფუძვლიანი შეფასებები და გადაწყვეტილებები”.


3 . 2 . ბუღალტრული ინფორმაციის მომხმარებლები

3 . 2 . 1 . სააღრიცხვო ინფორმაციის გამოყენება

ბუღალტრული აღრიცხვის ინფორმაცია განხილულ უნდა იქნას, როგორც ბუღალტრის, ასევე იმ პირთა თვალსაზრისით, რომლებიც მოიხმარენ სააღრიცხვო ინფორმაციას. ბუღალტერმა აუცილებელია იცოდეს თუ ვინ და როგორ გამოიყენებს ამ ინფორმაციას, რადგანაც იგი შეგროვებული და წარდგენილი უნდა იყოს მომხმარებლებისათვის რაც

შეიძლება სასარგებლო ფორმით. ამ უკანასკნელათათვის, კი აუცილებელია იცოდნენ რას გულისხმობს ბუღალტრული ინფორმაცია. სხვაგვარად საეჭვოა ისინი ჩაწვდნენ წარმოდგენილი ინფორმაციის რეალურ მნიშვნელობას. მათ უნდა ესმოდეთ კონკრეტული მაჩვენებლების არსი, საზღვრები და მდგომარეობები, რომლის გარეშეც ისინი იძენენ სულ სხვა მნიშვნელობას. თუმცა მენეჯერებს შეიძლება არ აინტერესებდეთ აღრიცხვის სისტემის დამუშავების, მართვის და სიზუსტის შემოწმება. ასეთ საკითხებში ისინი ეყრდნობიან ბუღალტრებს.

სქემა 3



ბუღალტრული აღრიცხვის მიზანს წარმოადგენს ინფორმაცია წარუდგინოს საწარმოს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს. ბუღალტრული ინფორმაციის მომხმარებლები პირობითად შეიძლება დაიყოს სამ დიდ ჯგუფად:

შეგა მომხმარებლები:

- 1) ადმინისტრაცია;

გარე მომხმარებლები:

- 2) პირდაპირი ფინანსური ინტერესების მქონე მომხმარებლები;
- 3) არაპირდაპირი ფინანსური ინტერესების მქონე მომხმარებლები;

3 . 2 . 2 . შიგა მომხმარებლები

1. **ადმინისტრაცია** - არის მუშაკთა ის ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელია საწარმოს მართვასა და მის წინაშე დასმული ამოცანების განხორციელებაზე. ხელმძღვანელობას აინტერესებს შემოსავლებისა და გასავლების ანალიზი, საიდანაც მიიღებს გეგმების შემუშავებისა და გადაწყვეტილებებისათვის საჭირო ინფორმაციას. ბიუჯეტის დამტკიცების

შემდეგ ბუღალტერს შეუძლია მოამზადოს ფაქტობრივი მდგომარეობის ამსახველი ციფრები საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში საწარმოს საბიუჯეტო მონაცემებთან შესადარებლად. ხელმძღვანელობამ ასევე, საჭიროა იცოდეს ქმედების დეტალური კურსის ფინანსური შედეგი გადაწყვეტილებების მისაღებად. საწარმოს წინაშე მრავალი ამოცანა დგას, მაგრამ კონკურენციის მკაცრ პირობებში წარმატების მიღწევა ადმინისტრაციისაგან მოითხოვს ყურადღება გაამახვილონ ორ მთავარზე: მომგებიანობა (რენტაბელობა) და ლიკვიდურობა (გადახდისუნარიანობა).

მომგებიანობა – არის ისეთი მოგების მიღების უნარი, რომელიც უზრუნველყოფს ინვესტიციის მიზიღვას და საინვესტიციო კაპიტალის დაძაგრებას.

ლიკვიდურობა – ნიშნავს დადგენილი ვადისათვის გასასტუმრებელი ვალების სავადამხდლო საშუალებების არსებობას.

3 . 2 . 3 . ბარამ მომხმარებლები

2. პირდაპირი ფინანსური ინტერესების მქონე მომხმარებლები - არიან საწარმოს ახლანდელი და მომავალი ინვესტორები, კრედიტორები და დაქირავებული მომუშავეები.

ინვესტორები მიღებული ინფორმაციის მიხედვით ცდილობენ გააკეთონ დასკვნა იმის შესახებ, თუ როგორია საწარმოს ფინანსური პერსპექტივა, ღირს თუ არა, მის საქმიანობაში სახსრების დაბანდება. ინვესტორები ინფორმირებულნი უნდა იყვნენ, თუ როგორ გამოიყენა ხელმძღვანელობამ საწარმოში მათ მიერ ინვესტირებული სახსრები, ეს ინფორმაცია მათ უნდა მიეწოდოთ ფინანსური ანგარიშგების სახით. ასევე ინფორმაცია აინტერესებთ პოტენციურ ინვესტორებს, საწარმოს შემდგომი საქმიანობისა და მომავალი შედეგების შესაფასებლად, როდესაც ისინი იღებენ გადაწყვეტილებებს საწარმოში ინვესტირების შესახებ.

კრედიტორები. ეს ჯგუფი აერთიანებს იმ პირებს, რომლებიც საწარმოს აფინანსებენ გრძელვადიანი და მოკლევადიანი სესხების სახით, აგრეთვე მასალისა თუ საქონლის მომწოდებლებს, რომლებიც კომპანიას უფლებას აძლევენ იყიდონ საქონელი, ზოლო საფასური გადაიხადოს შემდგომში, მაგალითად ერთ ან სამ თვეში. კრედიტორებისათვის მნიშვნელოვანია ფლობდნენ საწარმოს შესახებ ფინანსურ ინფორმაციას, რათა სწრაფ განსაზღვრონ დაამყარონ თუ არა საქმიანი ურთიერთობები მათთან.

დაქირავებით მომუშავეები (თანამშრომლები). აღნიშნული მომხმარებლები საბუღალტრო ინფორმაციას იყენებენ საწარმოს პოტენციური ფუნქციონირების შესაფასებლად, რომელთაც სურთ გამოარკვიონ – შეუძლია თუ არა კომპანიას უზრუნველყოს ისინი სტაბილური სამსახურით ან სამსახურებრივი წინსვლით.

3. არპირდაპირი (ირიბი) ფინანსური ინტერესების მქონე მომხმარებლები - არიან პირები (როგორც იურიდიული ისე ფიზიკური), რომლებსაც აინტერესებთ გარკვეული ფინანსური ინფორმაცია, მათ რიცხვს მიეკუთვნება:

მთავრობა – რომელიც იყენებს საწარმოს ბუღალტრულ ინფორმაციას სტატისტიკური ინფორმაციის შესაკრებად, რათა გაარკვიოს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ტენდენცია, ასევე განესაზღვროთ საგადასახადო პოლიტიკა.

საწარმოს დამკვეთები (მყიდველები) – ბუღალტრულ ინფორმაციას იყენებენ საწარმოს სიცოცხლისუნარიანობის შესაფასებლად, რათა სწორად განსაზღვრონ პირადი ბიზნესინტერესები. საწარმოს კლიენტებმა, თუ განზრახული აქვთ ახლო მომავალში გააფორმონ გრძელვადიანი კონტრაქტი, კომპანიის მდგომარეობის შესაფასებლად შეიძლება გამოიყენონ სააღრიცხვო მონაცემები. ამ ანგარიშებს ასევე იყენებენ კონკურენტები შედარების მიზნით.

საზოგადოება – რომელთა წევრებს განსხვავებული ინტერესები შეიძლება ჰქონდეთ საწარმოს ფინანსური ინფორმაციის მიმართ, შესაძლოა დროდადრო დაინტერესდნენ კომპანიით, მაგალითად კომპანიის თანამშრომლები, მოსახლეობა სადაც ფუნქციონირებს კომპანია, სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები. ფინანსური ანგარიშგება შეიძლება დაეხმაროს საზოგადოებას მიიღოს ინფორმაცია საწარმოს განვითარების მიმართულებების მის მიერ კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის მიღწეული მიმდინარე შედეგებისა და ეკონომიკური საქმიანობის მასშტაბების შესახებ.

რამდენადაც ბუღალტრული აღრიცხვა ემსახურება ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის სხვადასხვა მომხმარებლებს, რომელთაც განსხვავებული ინტერესი და ფინანსური კვალიფიკაცია აქვთ, ამდენად მას აქვს რთული ფუნქცია – მოამზადოს ინფორმაცია, რომელიც მისაღები და გასაგები იქნება ყველა ღონის მომხმარებლისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ შეუძლებელია ფინანსური ანგარიშგების მეშვეობით ყველა მომხმარებლის საინფორმაციო მოთხოვნილების დაკმაყოფილება, არსებობს ისეთი ტიპის მოთხოვნილებებიც, რომლებიც ყველა მომხმარებლისათვის საერთოა. ვინაიდან ინვესტორები საწარმოსათვის სარისკო კაპიტალის მომწოდებლები არიან, მათი მოთხოვნილებების შესაბამისად მომზადებული ფინანსური ანგარიშგება დააკმაყოფილებს სხვა მომხმარებელთა ძირითად მოთხოვნილებებსაც.

საწარმოს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, უპირველეს ყოვლისა პასუხისმგებელია საწარმოს ხელმძღვანელობა. ის თვითონაც დაინტერესებულია ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაციით. მას ყოველთვის მიუწვდება ხელი ნებისმიერ დამატებით მმართველობით თუ საფინანსო ინფორმაციაზე, რომელიც ეხმარება მას დაგეგმვაში, გადაწყვეტილებების მიღებასა და კონტროლის განხორციელებაში. ხელმძღვანელობა, საკუთარი კონკრეტული მიზნიდან გამომდინარე, თვითონ განსაზღვრავს დამატებითი ინფორმაციის ფორმასა და შინაარსს. თუმცა წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ეყრდნობა ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ ინფორმაციას საწარმოს ფინანსური მდგომარეობის, საქმიანობის შედეგებისა და ფინანსური მდგომარეობის ცვლილებების შესახებ.